572
1988

ISSN 0132-5965

1988 წ. ივლისი № 5

პატარა იარაღი

ᲓᲘᲠᲡᲚᲐᲮᲡᲝᲕᲐᲠᲘ

1889 წელს, თითქმის 100 წლის წინათ, გადაწყდა ჩატარებულიყო ყოველწლიური პირველმაისობები, როგორც გამოხატვა სხვადასხვა ქვეყნის მუშების ერთიანი გულისთქმისა — განთავისუფლებულიყვნენ ჩაგვრისაგან; ერთი წლის შემდეგ გაიმართა პირველი სამაისო გამოსვლები ევროპის მრავალ ქვეყანაში და აშშ-ში. 1891 წელს სამაისო პოლიტიკური დემონსტრაცია მოეწყო რუსეთში; 1898 წელს კი საქართველოს მუშათა კლასი შეუერთდა მსოფლიო პროლეტარიატის ამ საზეიმო-რევოლუციურ დემონსტრაციებს.

დღეს 1 მაისი ხალხთა ინტერნაციონალური მეგობრობის, მშვიდობისათვის ერთობლივი ბრძოლის დღეა.

●

5 მ ა ი ს ი საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვის — პრესის დღედ იმიტომ არის აღიარებული, რომ 1912 წელს სწორედ ამ დღეს გამოვიდა ბოლშევიკური გაზეთის „პრავდის“ პირველი ნომერი.

●

7 მ ა ი ს ი რადიოს და კავშირგაბმულობის ყველა დარგის მუშაკთა დღესასწაულია.

პაატა მოისწრაფიშვილი

როცა იარაღმა ერთბაშად უამრავ ცხოველს სამუდამოდ დააკარგვინა მშობლები, დები, ძმები, ნათესავები, — ყველაფერი შეიცვალა. ტყე ჩაკვდა, ჩიტები აღარ გალობდნენ, ყველა, განურჩევლად ძლიერებისა და მდგომარეობისა, შიშმა მოიცვა. შიში, მარტო იგი, ერთადერთი, დაებიჯებდა ამაყად თავაწეული. მხოლოდ ორი ცელქი, გულუბრყვილო მგლის—უნასა და როისათვის იარაღი უფრო ზღაპრული თავშესაქცევი იყო; ამიტომაც ერთ დილით, ვიდრე მზე ხეთა ქიმებს ოქროსფრად შეღებავდა, მამაცი მეგობრები მშობლების დაუკითხავად დაადგნენ იარაღთან შესახვედრ გზას.

— კუდით ქვას ვასროლინებთ, არა, უნა?

— რა თქმა უნდა, — კვერს უკრავდა უნა, და მეგობრები სიმღერით მიუყვებოდნენ აღმართს.

ამ დროს იარაღი ტყე-ტყე დაეხეტებოდა, ახალი მსხვერპლის მოლოდინში განრისხებით უელავდა თვალები. „მტირალ“ ბორცვთან ჩასაფრებულ მეგობრებს მალე მისი ხმაც შემოესმათ:

— ჩუუ, მოდის, გესმის, უნა? — მართლაც, გაისმა დაფეთებული ბუჩქების შორეული ექო.

— აი ისიც, ნეტავ სად მიდის?

— მოდი ვკითხოთ. ეი, იარაღო, გესმის ჩვენი? სად მიდიხარ? — გასძახეს მეგობრებმა.

იარაღმა თვალები ჭყიტა, დაიძაბა, ჩახმახი გადასწია და იქაურობას გადახედა.

— ეი იარაღო, აქ ვართ, — ეს უთხრეს და კენჭი მოშორებით ისროლეს. იარაღმა დაიჭექა. შემდეგ სხვა მხარეს გადაუგდეს კენჭი, იარაღმა ისევ დაიჭექა. ასე ისროდა მთელი შუადღე. როცა მოსაღამოვდა, ქანცგაცლილი უკვე მიწაზე ეგდო და ბოლი ასდიოდა.

მეგობრები კი სიმღერ-სიმღერით მიდიოდნენ შინისაკენ: აჭიკჭიკებული ჩიტების ტკბილი გალობა და ყვავილების კისკისი მიაცილებდათ.

ᲝᲛᲝᲑᲐᲜᲐ ᲐᲠ ᲛᲘᲧᲕᲐᲠᲓᲐ

ტარიელ ჭანტურია

ომობანა? — არა, ძმაო!
სულ მეკლა და მეკლა?

ომობანა მეთამაშა?
სულ მეკლა და მეკლა?
სულ მინდოდა, მეღიღინა,
სულ მეკრა და მეკრა?
როცა ფილმი ომზე იყო,
არც ვუმზერდი ეკრანს!

არ ვთამაშობ ომობანას,
მიტომ ვეღარ მომკლეს!
ვარ მშვიდობის ჯარისკაცი,
ვარ მშვიდობის მომხრე!

მხატვარი **ბესო ხიდაშელი**

ᲓᲘᲠᲡᲚᲐᲮᲡᲝᲕᲐᲠᲘ

18.704

რადიო და ტელეპროგრამები ხშირად ესაუბრებიან ჩვენს ბავშვებსაც — ათას რამეს ასწავლიან და აცნობენ, უგითარებენ გემოვნებას, ასვენებენ, ახალისებენ...

●

9 მ ა ი ს ი — 1941-45 წლების დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების დღე — ჩვენი ყველაზე საამაყო დღესასწაულია. ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვება მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა იყო, რომელმაც ცხადყო საბჭოთის პოლიტიკურ-სოციალური და სულიერი უპირატესობანი. უდიდესი მსხვერპლის ფასად მიაღწია ამ გამარჯვებას ჩვენმა ხალხმა. 20 მილიონი კაცი დაიღუპა ომში, რომ გადაერჩინა სამშობლო და თავისუფლება.

●

19 მ ა ი ს ი ლენინის სახელობის საკავშირო პიონერული ორგანიზაციის დაბადების დღეა. ამ დღეს პიონერთა რიგებში იღებენ საუკეთესო მოსწავლეებს, რომლებსაც 10 წელი შეუსრულდათ. ბავშვებს ჩვენი ქვეყნის დროშისფერ ყელსახვევს უკეთებენ, ისინი კი სახეიმო ფიცს სდებენ, რომ იცხოვრონ, ისწავლონ და იბრძოლონ ლენინისებურად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს.ქ. სსრ ა. მარქვის სახ. სამ. რეგიონ. ბიბლიოთეკა

რაზედ იცინოდნენ ყვავილები?

რევაზ ინანიშვილი

მხატვარი ედუარდ ამგოკაძე

გამართა მამამ ანკესები. დიდი — გრძელი ტარით, გრძელი ძაფით, ლურჯი ტივტივით — თავისთვის. მეორე, — თავის ანკესზე ცოტა პატარა, ცოტა მოკლე ტარით, ცოტა მოკლე ძაფით, წითელი ტივტივით — ლევანისთვის. მესამე — მთლად პატარა, მთლად მოკლე ტარით, მოკლე ძაფით, ორფერი ტივტივით — პატარა მალხაზისათვის. ადგნენ სამივენი, წაიღეს ბარი, გადათხარეს სანაგვე, ორი ასანთის კოლოფი გაავსეს ჭიაყელებით. გადაიკიდა მამამ მონადირის ჩანთა, ჩადო შიგ პური და ქაღალდში გახვეული ყველის ნაჭერი, ჩაყარა დილაადრიან დაკრეფილი ბალიც. აიღო ვედროც, — თევზს რომ დავიჭერთ, ვედროში ჩავსხათ, ცოცხლებს ამოვიყვანთ შინაო. მოუყრუეს დედის ცაცხანს ყური, — სად მიდიხართ ამ სიცხეში, სადაცაა მზე თავს დასწვავს ქაჩალსაო, — თავები დახარეს, ვითომ ძალიან გვრცხვენიაო, და მწკრივად დაადგნენ გზას.

წინ მამა მიდიოდა, თავისი გრძელი ანკესით. ვედროც მას მიჰქონდა, მიჭრაჭუნობდა ცარიელი ვედრო. მამას მალხაზი მისდევდა, პატარა მალხაზი, პატარა ანკესით, პატარა ჩრდილით. ბოლოს მიდიოდა ლევანი, თავისი საშუალო ზომის ანკესით, საშუალო ზომის ჩრდილით. გავიდნენ ყვავილოვან ველში. მიცურავდნენ ყვავილებზე ამაყად დიდი ჩრდილი, პატარა ჩრდილი, საშუალო ზომის ჩრდილი. აფრინდებოდნენ და დაფარფატებდნენ ფერად-ფერადი პეპლები. მამა თითქოს ვერც კი ხედავდა პეპლებს, ლევანი შეჰღიმოდა, პატარა მალხაზი კი ანკესის ტარს უქნევდა, — იქნებ რომელიმეს მოვარტყა და ჩამოვაგდოო. მამა იმასაც კი ვერ ამჩნევდა, წინ რომ მხიარული ხტუნვა-ხტუნვით მიუძღოდნენ კალიები.

გავიდნენ რიყეზე. იქ უკვე ისმოდა მდინარის ხმა, თანაც რაღაც წყლის ფრინველის ძახილიც. იქ უფრო ხმამაღლა აჭრაჭუნდა ვედრო. მივიდნენ მდინარესთანაც. მოდგაფდგაფებდა, მოჩქაფჩქაფებდა წყალი. მოძებნა მამამ მდორე ადგილი, ვედრო ძირს დადგა. ააგო ჭიაყელა თავის ანკესზე, ააგო ლევანმაც, აუგო მამამ მალხაზსაც. გადაუშვეს მდორეში ანკესები. ტივტივებდნენ ტივტივები, ლურჯი — მამასი, წითელი — ლევანის, ორფერი — მალხაზისა, ნახევრად ლურჯი,

ნახევრად წითელი. იტივტივებენ, იტივტივებენ და ჩავლენ მდორის ბოლოში. ისევ დაიწყებენ თავიდან. ისევ იტივტივებენ ტივტივები, ისევ ჩავლენ ბოლოში. მზე კი აცხუნებს, თევზები კი არ ჰკრავენ. მოწყენა ეპარებათ მეთევზეებს თვალებში.

— სხვა მდორე მოვნახოთო, — მამამ.

წავიდნენ, მონახეს სხვა მდორე. სხვა ჭიაყელები გაუკეთეს ანკესებს, გადაუშვეს წყალში. იქაც — ტივტივებენ ტივტივები, იტივტივებენ, იტივტივებენ და გავლენ ბოლოში. ერთხელ გავლენ ბოლოში, მეორედ, მეხუთედ. წავიდნენ იქიდანაც, ახლა სხვა მდორესთან მივიდნენ. იქაც — იტივტივებენ ტივტივები, იტივტივებენ და გავლენ ბოლოში. მზე კი ნამდვილად ქაჩალს თავს სწვავს. ისევ წავიდნენ სხვა მდორისაკენ. იქ უკვე შლამში ჰქონდათ ჩარჭობილი ანკესის ტარები, ლევანი და მალხაზი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ვინ გადაიცდენდა თითების მოჭერით ბლის კურკას წყალს. მამა გულხელდაკრეფილი იდგა საგონებელში ჩავარდნილი სარდალივით...

და ძალიან, ძალიან რომ დაცხა, ჭრიჭინებს რომ ჭრიჭინით დაუსივდათ ყბები, ერთხელაც გამოჩნდნენ გამწკრივებულნი ყვავილოვან ველში. ახლა ყველაზე წინ პატარა მალხაზი მიდიოდა, მალხაზს მიჰყვებოდა ლევანი, ლევანს — მამა. მალხაზსაც მოწყენილი თვალები ჰქონდა, ლევანსაც, მამასაც. მოწყენით მოჭრაჭუნობდა ცარიელი ვედროც.

მალხაზი გარბოდა კიდეც. სირბილში მიწისკენ იყო დახრილი და ცდილობდა, რომელიმე კალიისთვის მაინც ეტაცნა ხელი, მოთენთილი სკუპ-სკუპით რომ მიუძღოდნენ წინ.

მოწყენილობა არ ეტყობოდათ მხოლოდ მათ სასაცილოდ დამოკლებულ ჩრდილებს. ისინი დილანდელი სიმშვიდით და სიზვიადით მიცურავდნენ ყვავილებზე.

ყვავილები კიდევ იცინოდნენ, ბჟირდებოდნენ სიცილით...

რაზედ იცინოდნენ ყვავილები?

არაო, არ ვიტყვითო, — ჯიუტად აქანებდნენ აქეთ-იქით თავებს.

ია და მზია

ირინე უშვერიძე

თეთრ გულისხმირს მზიამ
ია მიაქარგა.
ძაფს რომ ინახავდა,
ნემსი დაეკარგა.
მოიხედა, ნემსი
სკამის ფეხთან ნახა.
გაუკარა ძაფი,
ისე შეინახა.
უცებ გულისხმირზე
მიქარგულმა იამ
ენა ამოიდგა:
— გამარჯობა, მზია!
შენი გულის ძგერა
მეც ვიგრძენი უკვე...
თაყვ ვთვლი ბედნიერად,
რომ გიმშვენებ გულ-მკერდს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქა ამბავი ბეჭეს სიზმრისა

ავთანდილ გურგენიძე

ანუ „ოცნებას კაცი არ მოუკლავს“

ტახტზე, ძმიმე რკინის ტახტზე
სძინავს ძილისგუდას...
ბეჭე სხვაგან სად დაწვება,
გაძლება არ უნდა?
სძინავს, თითქოს არცა სძინავს
და ოცნებობს ჰაწაწინა:
...ეს რა არის, მთვარის შუქმა
რა ოცნება გაანათა?
აფიშაა! ოცნებები
ნუთუ ასე უცებ ახდა?
ულამაზეს აფიშაზე
აწერია სწორედ ასე:
„დღეს, საღამოს შვიდ საათზე,
უსიერას დიდ დარბაზში
კონცერტს მართავს ბეჭე ბიჭი,
ბეჭეშოთის ციცქნა ვაჟი.
გადმოლახეთ ზღვები, მთები, —
შეიძინეთ ბილეთები!“

...სოლო კონცერტს მართავს ბეჭე,
გასუსულა უსიერა...
უკრავს, მაკრამ როგორ უკრავს!
გატრუნული უსმენს ყველა.
მარტო დაკვრა რას მიქვია,
ხმა იკითხე, რა ხმა—ბანი!
თითქოს ყელი—ლერწის ღერი —
ოქროშია განაბანი;
... არის ერთი ღრიანცელი,
ბეჭეს ვეღარ ელევიან.
ბიჭს ცრემლი სდის ღაჰა-ღუჰით, —
სიხარულის ცრემლებია.
აღტაცების შეძახილი
გუგუნებს და არ ილევა,
სულ დაფარა მუსიკოსი
ჭრელა-ჭრელა ყვავილებმა...
და გაისმის აქეთ-იქით:
— გენიოსი! — ვუნდერკინდი!
— ცარიელი ჭკუა არის!
— რის მოცარტი, რა მოცარტი!
— მუსიკაში მოვლენაა!
თუმც არ იცის თვლა ოცამდე!
აიტაცეს ბეჭე ხელში
და ისვრიან მაღლა ცამდე.
ხალხს უყვარხარ, ამ სიყვარულს
გაექეცი, აბა, სცადე!...
მერე სად არ მიიწვიეს —
აფრიკაში, აზიაში...
რა თქმა უნდა, ევროპაშიც...
ყველგან ბევრი ერგო ტაში.



მხატვარი **ბესო სიდაშელი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბოლოს ნახა ამერიკა,
სულ ბოლოს კი ავსტრალია...
ლამის ყველა გააგიჟა,
ლამის ყველა გადარია.
ჟრუანტელი უვლის ტანში, —
აქაც ტაში, იქაც ტაში!..
საჩუქარზე საჩუქარი
ემატება წყება-წყებად...
ერთი რაა, ამდენ რამეს
ასი ბეჭეც ვერ გაწვდება:
ათი ვედრო — მარტო ხენდრო,
ასი კილო—ასკილი,
ათი ფუთი ბატიბუტი,
რა თეთრი და რა ტკბილი!
აქეთ — მწიფე გულაბი,
იქეთ — წვენი მურაბის...
უთვალავი ვერცხლის ყანწი,
ნაბადი და ოქროს თასი,
ასი წყვილი ტანსაცმელი,
ყველა — ფირმა „ადიდასის“.
ბეჭეს ვინ არ ახსენებდა —
ჯკვიანი თუ სულელი,
ბევრი იყო მისი ნახვის
და მოხმენის მსურველი.
ბეჭეც წუხდა, — რა დარბაზი
ან რა ციცქნა მინდორია!
მინდა მეტი მსმენელი და
ფართო აუდიტორია!!!
ბოლოს თავში ტორი იკრა, —
როგორც იქნა, მოიფიქრა!..
მაღლა, ცაში, ღრუბლის ტახტზე
აუტანეს ინსტრუმენტი
(როიალი) მახთან გვერდით
არვინ ჩანდა ბეჭეს მეტი.
მასზე მაღლა არვინ არის,
მასზე დაბლა თითქმის ყველა...
იჯგიმება, იჯიმება
ბეჭე ბიჯი თითისხელა.
ბოლოს ისე გაიბერა,
შავი ფრაკი გაეფხრიწა.
სირცხვილისგან უცებ მილში
შეკრთა, შეხტა... გაეღვიძა!
— რა სიზმარი მივატოვე,
გაღვიძებაც აღარ მინდა. —
თქვა და ტახტზე, რკინის ტახტზე
გააგრძელა ძილი მშვიდად.

ანათითი, ბანათითი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გივი ჭიჭინაძე

ანათითი, ბანათითი,
ვინც ხუთამდე კარგად ითვლის,
სათითაოდ დააკვირდით,
რომელია შუათითი?
ორი — აქეთ, ორი — იქით,
არ გვჭირდება ბევრი ფიქრი.
სუფველანი კარგად მიეხვდით,
შუახეა შუათითი.
ტანწერწეტას, მაღალს,
ხხვა თითების თავკაცს,
შესახედად, მართლაც,
ტოლი არვინ არ ჰყავს.
თუმცა გვერდით არათითს
კი ჰგონია ხანდახან:
— ამისრულდა ნანატრი
მივწვდებიო, ჰა და ჰა!
გასაჯირში თუ ერთად ვართ,
ნაამაგარს რად არ მითვლით?
დროა არათითის ნაცვლად
დამიძახოთ თანათითი.
მართალია არათითი,
შუათითს ხომ სწვდება თითქმის,
ჰოდა, ნუღარ გავაწბილებთ,
მოდით, ერქვას თანათითი.

შუათითის მარცხნივ მდგომს და
მასზე ოდნავ დაბალს,
წიგნის ფურცვლის, წერის ოსტატს
დაუფასდა ჯაფა;
წინათ კაცად არვინ თვლიდა
და სალოკი ერქვა,
დღეს კი საჩვენებელ თითად
იწოდება ყველგან.
საჩვენებელს გვერდით რომ ჰყავს,
ვინ არ იცნობს ცერას,
ჰატივს სცემენ ბრძენს და მოყვასს,
მისი სიტყვის სჯერათ.
მათი სწავლა-შრომის საქმე
როცა კარგად მიდის,
— ეოჩაღ, მშებო! — ყველას აქებს
ჩვენი ცერა თითი.
ანათითი, ბანათითი,
წრე ლამაზად შეკერათ.
გასაცნობი აბა მისხვდით,
ვიდა დაგვრჩა? ნეკა!
ციცქნა ნეკა როდი გახლავთ
მომდურავი ბედის,
ლხინშიც, ჯირშიც დგას ამაყად
გამრჯე მშების გვერდით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზე ყველას ეზოში ამოდის

გონერი ჭეიშვილი

გიორგი ჩემი მეზობელია. ჩვენ ტოლები ვართ. სულ ერთად ვთამაშობთ. დიდი ახირებული ვინმე კია, გუშინ დაიჟინა: მზე ჩემიაო. მე გამეცინა. რამდენი გავიცინე, იმდენი იყვირა: ჩემია, ჩემიო! ჩემს ეზოში ამოდის და ჩემიაო.

მზე ვერც მე დავთმე, — შენი კი არა, ჩემია-მეთქი, მზე ჩემს ეზოში ამოდის და არა შენსაში-მეთქი.

რაღა დაგიმალოთ და ერთმანეთს დავემდურეთ.

მე ჩემი ეზოდან დავუწყე მზეს თვალთვალი, რომ გიორგის არ მიეთვისებინა. გიორგი კიდევ თავის ეზოდან მწყემსავდა, — დათომ არ მომპაროსო.

რამდენი არ ვეცადეთ, საღამოხანს მაინც გაგვეპარა მზე. თანდათან ჩამობნელდა, დაღამდა. გიორგი იქით ატირდა, დათომ მზე მომპარაო, მე აქეთ, — გიორგიმ მომპარათქო. მანამ ვიტირეთ, სანამ მთვარე არ გამოჩნდა, ნაძვის ხის სათამაშოსავით ჩამოეკიდა კაკლის ხეზე და გამიცინა. იქიდან გიორგის ხმა გავიგონე: ჩემი მთვარე ამოვიდაო. გავბრაზდი, მზე მომტაცა, ახლა მთვარესაც მეცილება-მეთქი. საითაც წავედი, იქით გამომყვა მთვარეც; გავიქეცი — გამომეკიდა; გავჩერდი — გაჩერდა; გიორგი კი გაიძახის, ჩემიაო.

დასაძინებლად რომ დამაწვინეს, დავიჟინე: მთვარე ლოგინში უნდა ჩავიწვინო, გიორგიმ რომ არ მომპაროს-მეთქი.

დედიკომ დამამშვიდა: მთვარის მოპარვა არ შეიძლება, ის ერთადერთია, როგორც შენი, ასევეა ყველასიო. მე დედიკოს ყველაფერს ვუჯერი, ამის დაჯერება გამიჭირდა. თუ ყველასია, მე რატომ დამყვება, ჩემს ეზოში რატომ ამოდის, ჩემს კაკლის ხეზე რატომაა ჩამოკიდებული საახალწლო საჩუქარივით — ვეკითხები დედას ტირილნარევი ხმით.

დედას გაეღიმა, მაკოცა და მითხრა, ეს ყველაფერი გეჩვენება, მთვარე იმდენად დიდია, მისი ლოგინში ჩაწვენა შეუძლებელია, ის ჩვენგან შორსაა და პატარაც იმიტომ გეჩვენებაო.

მე კედლისკენ გადავბრუნდი, ძილი არ მომეკარა. ფიქრობდი მზეზე, ვარსკვლავებზე, მთვარეზე. ბოლოს გადავწყვიტე: დიდი რომ გავიზრდები, ავუყვები მაღალ მთას, ავიტან ყველაზე, ყველაზე დიდ კიბეს, მივადგამ ცას, ავალ მთვარეზე, ჩამოვჯდები იქვე, კიდეზე, და გადმოვხედავ ქვეყანას.

მეორე დილით, მზე რომ ამოვიდა, ყველაფერი გიორგის გავუმხილე. თურმე ნუ იტყვით და მას მზეზე ასვლა განუზრახავს.

ახლა აღარ ვკამათობთ. ვიცით, რომ თბილად მოხითხითე მზე ყველასია, ყველას ეზოში ამოდის და ყველას უცინის მაღლიდან.

მხატვარი **ლალი ლომთაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოცო და ბვანცა

ბოგზაურობა ისტორიაში

ავტორი – ბია ლაფაური

ფარსმან ქველი-იბერმა მეფე ბოში (1800 წლის წინათ)

II ს. 30-50 წლებში, ქართლის მეფე იყო ფარსმან II, „ქველად“ წოდებული. მის დროს ფოს გაინია საქართველოს საგოვრებმა სამხრეთ-დასავლეთით.

ეს იყო ანტიაური ქართლის სამეფოს უველაზე დიდი ძლიერების ხანა



იხეიმა მეფე–ფარსვანი, თავისი ოჯახითა და ამალით, ეწვია ჩვენს ახალ იმპერატორს – ანტონიუსს.

წამო, ბიჭებო, ჩვენც დავესწროთ ფარადეიას!

ამბობენ, ძლივს შეეთანხმა ანტონიუსი ფარსვანი.
მისი სახით ჩვენ ძლიერ მოკავშირეს ვპოულობთ ბრძოლაში.

უკვე გამოიღებენ!




მეფე ფარსვანს გაეგებოდნენ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსატვარი სოფიო კიღწურაშვილი

თუ გსურს

ელგუჯა ჯიქია

შეობლიური შენი შიწა
თუ გსურს, იოს ეფერი ვრცელი,
უნდა მაძულს ეძსხეფრო,
ვით ლოტნე და რუსთველი.
ოდეს ეძუნდით, ეს მთა-ველი
ხმალს იქნეფდ ანა თვითონ,
სქმე უნდა, ნეფრეფელვ,
ნავსტანეფ, სადავითო.
სქართველი ლომეფულ ცხრა ძმას
ანა თქვენზე ეფეთ ზრდიდა,

ან სამანი არაეფელი
ჩამოფრინდა ანა ცოდან,
ანა თქვენზე კარეი ეფკნენ,
ანა თქვენზე ეფაცეი,
ეფერამ რასაც ეფწირნენ,
ის ეფეარდთ ეტეცენით.
და თუ ჩვენც ეფსურს,
ეს ეზიან ხსოვი
არასოდეს დაეფელიოს,
სქმე უნდა, ეფეობარი,
სადავითო, სალილი.

სამშობლოს

ნესტან კვეიძე

ისეთი ბიჭი ვიქნები,
მტერს დუდეეეა თვალები.
კითხვით, სწავლით და ბრჯით მსურს.
შეკადო ცოდნის კარები.

ყველას საკადრისს მიეუზღავ,
მომხდურს არ დაეემალები
და თუ დასჭირდა, საკვარელ
სამშობლოს ვენაცვალები.

ბაშა, ბიძაშენ, ბრაბაშვილებზე!

ვეგენი ბარბაია

ეზრუბის შეშდეებისთვის —
სამანი არაეფელისთვის
არაეფელებმა სამანი
შეზის ხე დრეფს ღელისში.
სამანი ეზეა ეზიალებს,
მადიდებელი ითთო,
ვინც ბძოლს თავი შეწირა,
ვინც ეზით იარა სიმართლის.
უნარეფელსდ — საშობლო!
ეერეფ, — რაც ვინდა ეკენებოს!
დიდება შენდა, არაეფელ!
ბაშა, თქვენ, არაეფელებო!

ფეხეშრომელი ვასო

სილოვან ნარიმანიძე

დილით, როცა ადეებ,
ბაბას ეტეკვის ვასი;
ბაბავ, ჩემი ეკირეანი,
უნდა დაეაფასი.
ეკ მინდა, რომ შენსაეთ
სულ სიკეთე ეთეხი,
ახლაეე ამიეიტან
ახალ ეაზეთებსი.
ეერე ნება მომეცი,
ეიეატოვი წეთით,
ჩვენი ეზოს ბიეებს
ჩაეკითხი ბეერთით.
ეაზეთებიც ამოეკეს,
ეერ ეზოს ბაეშეებს,
ვასი თავის ბეერთით,
ფეხეერის ათამაშებს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიმძიმის ძალა

ავთანდილ ადეიშვილი

— ბაბუა, პარაშუტი რისგან კეთდება? — ჰკითხა რატიმ ბაბუას.

— აბრეშუმის ქსოვილისაგან იკერება! — უპასუხა ბაბუამ.

— სად ვიშოვო აბრეშუმის ქსოვილი?

— ბებიაშენს ძველისძველი, ფერგადასული ფარდა აქვს, სთხოვე, იქნებ გაჩუქოს.

რატის ბევრი ხვეწნა არ დასჭირვებია, ბებიამ აბრეშუმის ფარდა აჩუქა და თან ღიმილით დაარიგა, მაგ შენი გაკეთებული პარაშუტით შენ არ გადმოხტე, შვილო, თორემ თავ-პირს დაილეწავო.

რატიმ მთელი ორი კვირა იწვალა, იჩხირკედელა, დაბოლოს, პარაშუტი შეკერა. პარაშუტი რომ პარაშუტობდა, ამის დასამტკიცებლად, რა თქმა უნდა, ვიღაცა უნდა გადმომხტარიყო. რატიმ ბევრი იფიქრა და არჩევანი ფურნის ზარმაც კატაზე შეაჩერა, რომელიც იაპონური ჯიშის პაწაწკინტელა ძაღლ ტოკოს თავისი ფხუკფხუკით დღენიადაგ მოსვენებას არ აძლევდა. ფურნის კატის ხელში ჩაგდებას კი რა უნდოდა? ძეხვის ერთი ნაჭერი და მეტი არაფერი.

კატის ძებნაზე რატის დიდი დრო არ დაუკარგავს, ეზოს ბოლოში შეასწრო თვალი, ჩაფუნთულებული, ჩაბუხუზებული, ტუჩების ლოკვითა და ულვაშების ცმაცუნით მოიზლაზნებოდა. ჩვენი ფურნის კატა დიდი ღორმუცელა ვინმე გახლდათ, დაანახვა თუ არა რატიმ ძეხვის ნაჭერი, მაშინვე მსუნაგი ჩხავილით ბიჭს უკან აედევნა. რატიმ ჯერ სადარბაზოში შეიყვანა კატა, მერე პირველ სართულზე, მეორეზე, მესამეზე... მეხუთეზე... მერვეზე და ბოლოს სხვენში აიტყუა, სადაც თვითნაკეთი პარაშუტი ჰქონდა დაკეცილი. კატას ძეხვი მიუგდო, და სასუსნავით გართულ ღორმუცელას ისე მოარგო პარაშუტი და ისე გადმოაფრინა მეცხრე სართულიდან, რომ ფურნის კატას მანამდე არაფერი უგრძვნია, სანამ პარაშუტი არ გაიშალა და გაიბერა მფრინავი სოკოსავით. რატიმ გაიხარა. მაგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამ სიხარული დიდხანს არ გაუგრძელდა, პარაშუტი ჰაერში გაჩერდა და აღარ იძროდა. ჰაერში გამოკიდებულმა ფურნის კატამ ისეთი შემზარავი ჩხავილი ატეხა, რომ მთელი სახლის ბავშვები ფეხზე დაადგენა, ყველა ეზოში გარბოდა და ამ საოცრებას შეჰყურებდა.

ბავშვებმა სჯა-ბაასი დაიწყეს:

— როგორ ვუშველოთ ფურნის კატას?

— ქარის ამოვარდნას უნდა დაველოდოთ!

— ქარი სად წაიღებს, ვინ იცის?!

— იქნებ სულაც არ ამოვარდეს ქარი.

— მაშინ წვიმას დაველოდოთ, პარაშუტი და კატა დამძიმდებიან და...

— პარაშუტი აბრეშუმის ქსოვილისაგან არის შეკერილი და არ იჟღინთება! — აუხსნა რატიმ.

— მაშინ კატამ უნდა მოიმატოს წონაში, თოკით საჭმელი მივაწოდოთ.

— ეგ მსუნაგი ისე არის შეშინებული, რომ პირში არაფერს ჩაუშვებს!

— რამდენიც არ უნდა ჭამოს კატამ, გაშლილი პარაშუტი ჰაერის წინააღმდეგობას ვერ დაძლევს, მაგას იაპონური ძაღლი ტოკო თუ უშველის! — წამოიძახა უცებ თორნიკემ.

— როგორ, რანაირად?

— ამ წუთას გაჩვენებთ! — დაიმედა ბავშვები თორნიკემ.

იგი ტოკოს პატრონთან მივიდა, ეხვეწა და როგორც იქნა, ტოკო წამოიყვანა. ტოკოს გრძელი თოკი მოაბეს და პარაშუტის გასწვრივ ჩაუშვეს, ფურნის კატას რომ გაუსწორეს, ბავშვებმა თოკის ქნევა ისე დაიწყეს, რომ ტოკო და ფურნის კატა ერთმანეთს ჩაეხლართნენ. ჯერ ერთურთი დაპორჭნეს და როცა ორივემ დაბლა ნარნარად იწყო დაშვება, დიდი ხნის მეგობრებივით გაირინდნენ.

რატიმ გაიხარა, ბავშვები ჟივჟივებდნენ, ტოკო და ფურნის კატა მშვიდობიანად ჩამობრძანდნენ მიწაზე.

ასე, ბავშვებო! სიმძიმის ძალამ ბევრი გაათვითცნობიერა და ზოგ-ზოგი ოთხფეხიც დაამეგობრა — იმ დღიდან ფურნის კატა და ძაღლი ტოკო წაჩხუბებული არავის უნახავს.

ლომი

დიმიტრი გულია

ლომი ფარფარაშლით დადის,
იმედი აქვს თავის თათის,
აქვს ისეთი დიდი ძალა,
ხარს კისერი წაეცალა;
გამოსცადა თითქოს ღონე
და გვიცქერის თავმომწონედ.

მხატვარი **მანანა მორჩილაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედა

ავთანდილ მეგრელიშვილი



დედის ხმაზე უფრო ტკბილი
ხმა არც მწამს, არც მეგულება.
დედის გულზე უფრო ცხელი
გული არსად მეგულება.
დედის ხელზე უფრო თბილი
ხელი არსად მეგულება.
დედის სულზე უფრო სუფთა
სული არსად მეგულება.
დედის თვალზე უფრო სათნო
თვალი არსად მეგულება.
დედა არის სიყვარული,
სიცოცხლე და ერთგულება!..

ქმთოს ფისო

— მე ბრჯვალების
იმედი მაქვს,
შენ კი მაჯრი,
ჩემო ქეთო,
წრუწუნას რომ
თვალი მოეკრა,
თათში როგორ
მოეიხელთო?!

ვენაცვალე ქართულ ცეკვას

დოლ-ზარმონი ახმიანდა,
აბა, ტაში! აბა, ტაში!
სანეკვაოდ მიხმობს გული,
ჟრუანტელი მივლის ტანში.
ვადავფრინდი, დავუარე,
ზეცა შესძრა ჟრიამულმა...
ვენაცვალე ქართულ ცეკვას,
გული გამიმხიარულა!

მხატვარი **თამაზ ხუციშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსიმ გამოიღვიძა

ალექსიმ გამოიღვიძა,
დატოვა თბილი საწოლი.
სუფრას მიუჯდა, მიირთვა
ხაჭაპური და მაწონი.
ჭურზე წაუსვეს კარაქი,
დაუბადაგეს თაფლითა.
ისიც გეახლათ და მერე
ერთი წაწილაც დაფლითა.
რძიანი ჩაიც დალია,
იგემა შინდის მურაბაც.
ბოლოს კი ქელი დაუტაბო
დიდრონმა მსხალმა — გულაბმა,
შარვალი ვედარ ჩაცვეს,
შიშველი დადის გულადად.
ბატიც იფრინა, მამალიც,
ორივე უმზერს მტრულადა.
ბოჩოლას ეთამაშება,
დადიან მეგობრულადა.

ნარჩიტა

ბორის ქოქრაშვილი

საქართველოს მთებში ბინადრობს ძალიან ლამაზი და იშვიათი ფრინველი — კავკასიის დიდი ნარჩიტა.

მამალი ნარჩიტა ბეღურაზე უფრო დიდია, ძოწისფერი ბუმბული თავზე და მკერდზე წვრილი ვერცხლისფერი წინწკლებით აქვს მოფენილი, მუქი წაბლისფერი ფრთები კი — ალისფერი არშიით შემოვლებული.

დედალი ნარჩიტას მორთულობა კი მოკრძალებულია — მწვანე ზურგი, მურა ფერის ბოლო და ფრთები, ღია ნაცრისფერი მკერდი.

გაზაფხულზე ბუდობისას მიდამოს ეფინება მამალი ნარჩიტას გაბმული სტვენა. როცა იგი გულისსწორს ამოირჩევს, ჩამოუშვებს ფრთებს, გამობერავს ხავერდოვან წითელ გულ-მკერდს და გაფხორილი დაიწყებს სიარულს თავისი რჩეულის წინ, თან ხშირხშირად აკანტურებს თავს.

მაგრამ მარტო სიმღერით სახლს ხომ ვერ ააშენებ!?. საქმეც საჭიროა. ყველა საოჯახო საზრუნავი საბრალო დედალ ნარჩიტას აწვება მხრებზე. მომავალი დედა კლდოვან ნაპრალში მყუდრო ბუდეს აგებს. გარეთა კედელს ბალახების უხეში ღერებისა და მთის ცირცელის ან არყის ხის პატარა ტოტებისაგან წნავს. შიგნიდან კი წივანას წვრილ ღეროებს გამოაკრავს.

მზრუნველი დედა ნისკარტით წვრილ ძაფებად ანაწევრებს ხის ქერქს, შემდეგ მათ ჯიხვის ბეწვებს გადააწნავს და ამ პაწაწინა ლოგინს ჩაუფენს მომავალ ბარტყებს ბუდეში.

თორმეტი დღე მოთმინებით ზის კვერცხებზე დედა ნარჩიტა. ამ დროს ბუდესთან ახლოს რომ მივიდეს ვინმე და თუნდაც ხელი შეახოს მას, ოჯახის პატარა დამცველი არასგზით არ მიატოვებს საწუკვარ კვერცხებს.

ეროვ. ბიბლ. ბარქაია
სამ. ბიბ. ფონდი
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოვა დრო და ფირუზისფერი კვერცხებიდან ხუთი ბარტყი გამოიჩეკება. ფართოდ დაღებული ყვითელი ნისკარტებით ისინი დედიკოს საჩუქარს — მატლებს, კალიებს, ხანაც მოცვის ან ძახველის ნაყოფებს ელოდებიან.

წამოზრდილი მამალი ნარჩიტები ბუმბულის პირველი მოცვლის შემდეგ დედის მსგავსად იმოსებიან. ორ მკაცრ ზამთარს შეხვდებიან ისინი მთაში; მრავალ სიცივესა და შიმშილს იგემებენ ოქროსფერი ქაცვის ძებნაში; ხეტიალისას გაიწვრთნებიან, შეიძენენ გამოცდილებას და მხოლოდ ამის შემდეგ დააჯილდოებს მათ ბრძენი ბუნება მშვენიერი ძოწისფერი მორთულობით...

კავკასიის დიდ ნარჩიტას ევროპაში შორეული ძმები და დები ჰყავს. მათ ეშინიათ სიცივეებისა და ზამთარში თბილ ინდოეთში მიფრინავენ. ჩვენი ნარჩიტა კი არასოდეს არ ტოვებს მშობლიურ მთებს, მხოლოდ უმკაცრეს ზამთარში შეიძლება ცოტა ხნით მდინარეთა ხეობებში ჩამოფრინდეს, მაგრამ როგორც კი დათბება, მაშინვე ისევ მიფრინავს ამომავალი მზის სხივებში ვარდისფრად აბრწყინებული ყაზბეგის ყინვარებთან.



მხატვარი **გიორგი როინიშვილი**



რომელი სათამაშო აკლია ქვედა ნახატზე?

ჟურნალ „ვესიოლიე კარტინკიდან".



ბალბინა

რევაზ ლორია

ერთი პატარა ყუთია,
პატარა ყუთხე უჭირავს,
ხან ბებრსავით წყლიანობს,
ხან პაპასავით მუნჯია.

მთელი დღე ჩვენთან საუბრობს,
ღამით დაღლილი ისვენებს...
ამ ქვეყანაზე რაც ხდება,
ყველაფერს სახლში გვინვენებს.

კითხვანა

მზია ჩხეტიანი

ტყეში დასახლდა რადისტი,
სად რას გადასცემს,
რა ვიცი!
ოღონდ ეს არის — მის კაკუნს
ხის ქერქში მატლი განიცდის!

თვალსაჩეხი



ცარიელი უჯრედები შეავსეთ ქართული კინოფილმების სათაურებით ისე, რომ წითელ სვეტში მიიღოთ სიტყვა „მშვიდობა“.

ფოტოზე ეფუძნება

დილა

საქართველოს ალკკ ცკ-ისა და ვ. ი. ლენინის სახელობის კიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ჟურნალი უმცროსკლასელთათვის.

გამოდის 1904 წლიდან
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა.

მთავარი რედაქტორი
ენვერ ნიჟარაძე

სარედაქციო კოლეგია: ედუარდ ამბოკაძე, მანანა ანთაძე, ლამარა გაბუა, სესილ გოგიბერიძე, მერი დავითაშვილი, ლეილა ერაძე, ბელა ლოსაბერიძე, მაყვალა მრევლიშვილი, ჯურხა ნადირაძე, გიორგი როინიშვილი (საშხატვრო რედაქტორი), თენგიზ ჩალაური (პ/მგ. მდივანი), ბივი ძნელაძე, გივი ჯიჯინაძე.

ტექნიკური რედაქტორი
ენდი ფერეთელი

მისამართი: რედაქციის, გამომცემლობის, სტამბის—თბილისი, ლენინის 14. ტელ: მთ. რედაქტორის 93-41-30, 93-98-15; პ/მგ. მდივნის 93-10-32, 93-98-18; სამხ. რედაქტორის—93-98-18; განყოფილებების 93-98-19.

გადაეცა ასაწყობად 9.03.88 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 26.04.88 წ., ქაღალდის ზომა 60×90 1/8, ფიზ. ნაბ. ფურც. 2,5, ტირაჟი 168.000, შეკვეთა № 625

უდაზე ნახატი
ნანა ჯურღულიასი

«Дила» («Утро») ежемесячный журнал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского Республиканского Совета Всесоюзной пионерской организации им В. И. Ленина для младшеклассников, на грузинском языке.
Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии.
Главный редактор Энвер Нижарадзе (тел. 93-41-30).
Адрес редакции и издательства: 380096, г. Тбилиси ул. Ленина, 14.
Объём 2,5 печатных листа, тираж 168.000. Заказ № 625

ინდექსი 76055 б 71/102 ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ШО-3

მხატვარი **სოსო გაბაშვილი**

რომელი ქართული ხალხური ზღაპრის ილუსტრაციაა ეს?